ელექტრონული საგადახდო დავალება No 0169

Transfer Order No 0169

თარიღი/Date: 16/04/2014

რეფერენსი/reference: 2667338093

იქნებნი მომავალი — საქართველოს ბანკი BANK OF GEORGIA

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator: ამხანაგობა "ამირანი 2007"	ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit): GE38BG0000000206779100GEL	თანხა/Amount: 4000 GEL
გადამხდელის ბანკი/Originator Bank: საქართველოს ბანკი	ბანკის კოდი/Bank Code: BAGAGE22	თანხა სიტყვებით/Amount in words: ოთხი ათასი ლარი 00 თეთრი
გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name: ამხანაგობა "ამირანი 2007"	საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer: 200237056	
მიმღების დასახელება/Recipient: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო	ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code: 300773263	ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank: 16/04/2014
მიმღების ბანკი/Recipient Bank: სახელმწიფო ხაზინა	ბანკის კოდი/Bank Code: TRESGE22	გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank:

გადახდის დანიშნულება/Description: დადგენილება #000329 4-1/დ137-14 15.04.2014 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info:

ხელმოწერა/Signature:

შტამპი:

ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature:

ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:

ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 4-1/2137-14 15 04 2014 წ.

დადგენილება №000329
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

15.04.2014წ. ქ.თბილისი, შარტავას 7

მე, სამსახურის უფროსის მოადგილემ უჩა ზაქაშვილმა განვიხილე 2014 წლის 15 აპრილის №000329 შემოწმების აქტი "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ", შედგენილი **ი.ბ.ა. "ამირანი 2007"-ის** (პირადი №200237056, მის: ქ. თბილისი, ერისთავის ქ. №3) მიმართ საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის.

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, ერისთავის ქ. №3-ში ი.ბ.ა. "ამირანი 2007"-ის მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ №1068900 (AR1172036) 08.01.2014წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: ტერიტორიის კეთილმოწყობა არ არის დასრულებული. არ არის მოწყობილი ღობე, სათამაშო მოედანი, ლამპიონები და ბეტონის ბორდიური. ტერიტორიაზე განთავსებულია სამშენებლო ამწე. ფასადები არ არის შეღებილი. ნაწილობრივ შეუვსებელია და შეულესავი. მოაჯირები ნაწილობრივ არ არის მოწყობილი. არ არის დასრულებული საჩრდილობლების მოწყობა. ღიობები და ფანჯრის მინები ნაწილობრივ შეუვსებელია. სადარბაზოები ნაწილობრივ მოუპირკეთებელია, არ არის მოწყობილი მოაჯირები და კარები. ფასადებზე რიგელები არ არის ასახული. დამატებულია წყლის მილები. „1-1" ღერძის გარეთ კიბის საფეხურები და პანდუსის მოწყობა არ არის დასრულებული. „გ-ბ" მონაკვეთში შეცვლილია სადარბაზოს კიბის ფორმა. „7-6" და „4-3" მონაკვეთებში ფანჯრის ღიობებს მონაცვლებული აქვს ადგილი. +12.90 ნიშნულიდან +26.10 ნიშნულის ჩათვლით „ე-ბ" და „ბ-დ" მონაკვეთებში შეცვლილია კედლის ფორმა. შეცვლილია ლითონის ცხაურის ნახატი. მონოლითური კედლები არ არის ასახული პროექტში. -3.10 ნიშნულზე „1-1" ღერძზე არ არის კარი მოწყობილი. „ი-ი" ღერძზე „10-11" მონაკვეთში დამატებულია კოლონა. „8-9" მონაკვეთში კიბის საფეხურების რაოდენობა არ

ემთხვევა საპროექტოს. ±0.00 ნიშნულზე ნაწილობრივ შეცვლილია ღიობების ფორმა და რაოდენობა. „7-8" მონაკვეთში შეცვლილია კარე კიბის საფეხურების რაოდენობა და ფორმა. „1-2" მონაკვეთში შეცვლილია შიდა კიბის ღიობის გაბარიტი. „თ-ი" მონაკვეთში შეცვლილია კედლის ფორმა. „ბ-ა" მონაკვეთში დამატებულია ფანჯარა. +3.15 ნიშნულზე „დ-ზ" მონაკვეთში გაზრდილია ვიტრაჟების გაბარიტი. +6.30 ნიშნულზე „1-6" მონაკვეთში შემცირებულია ვიტრაჟების სიმაღლე. +19.50 ნიშნულიდან +29.40 ნიშნულის ჩათვლით „8-11" მონაკვეთში შეცვლილია კედლის და აივნის გაბარიტი და ფორმა. „8-8" და „11-11" ღერძებზე „ბ-გ" მონაკვეთში დამატებულია კოლონები. +29.40 ნიშნულზე „გ-ე" მონაკვეთში კედელს მონაცვლებული ააქვს ადგილი და გაზრდილია აივნის გაბარიტი. შეცვლილია სახურავის ფორმა. სახურავზე შეცვლილია გამწოვების გორმა გაბარიტი და რაოდენობა. „ე-გ" მონაკვეთში დამატებულია საჩრდილობელი.

2014 წლის 15 აპრილს საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის "ზ" პუნქტის საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000329 "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ". საქმეშია, მხარის №12/14104692-16 14.04.2014წ. განცხადება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, ი.ბ.ა. "ამირანი 2007"-ის მიერ ჩადენილია საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ერისთავის ქ. №3-ში ი.ბ.ა. "ამირანი 2007"-ის მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ №1068900 (AR1172036) 08.01.2014წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, 2009 წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. ი.ბ.ა. "ამირანი 2007" დაჯარიმდეს 4.000 (ოთხიათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. ი.ბ.ა. "ამირანი 2007"-ს დაევალოს საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22,** საბიუჯეტო შემოსავლის **სახაზინო კოდი: 300773263,** გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.